საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 20

21/01/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტისა და 61 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე
ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად .

2. ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობათა დასაკავებლად.

3. ატესტაციისას მოსამსახურეთა და კონკურსის ჩატარებისას კანდიდატთა შეფასება ხორციელდება ამ ბრძანებით განსაზღვრული დამატები საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

4. ატესტაციისას მოსამსახურეთა და კონკურსის ჩატარებისას კანდიდატთა ტესტირებისას მინიმალური გამსვლელი ზღვარი დადგინდეს სწორი პასუხების 60 %.

5, ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს კანონით დადგენილი წესით

ინგა მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე